სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N90

ქ.კასპი 19ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. ,,კასპისკეთილმოწყობა'' ს/კ232556659(შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხარატიშვილის სახით და მეორეს მხრივშ.პ.ს,,EL-GROUP''ს/კ401957021(შემდგომში,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის ზაალ სებისკვერაძის სახით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ,(შემდგომში ,,ხელშეკრულება'')-შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდეტს შორის დადებული ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2.,,ხელშეკრულების ღირებულება'' - საერთო თანხა,რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3.,,შემსყიდველი ორგანიზაცია''ნიშნავს ორგანიზაციას რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4.,,მიმწოდებელი''ნიშნავს პირს რომელიცუწევს მომსახურებას ან აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემულ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5.,,დღე'' ,,კვირა'' ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს,კვირას,თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.„მიმწოდებელი" „შემსყიდველს" მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდებს შემდეგი სახის საქონელს:
CVP31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი .

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1, ხელშეკრულების ჯამური საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 1800(ათას რვაას) ლარს

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი,რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2.მიმწოდებელივალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის(ინსპექტირების)ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით,ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით.იმ შემთხვევაში,თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს,მისი შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3.მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4.ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებისაგან.

3.5.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომლებით დაკომპლექტებული ინსპექტორების ჯგუფი.

4.მიწოდების პირობები

4.1მომსახურების მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგი პირობებიც დაცვით:

4.1.1.მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს მოთხოვნილი საქონლის მიწოდებაშემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან 2(ორი) სამუშაო დღის განმავლობაში ეტაპობრივად.

5.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.2.იმ შემთხვევაში თუ, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

5.3.ნებისმიერი ცვლილება,რომელსაცმოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელიაგარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.აღნიშნული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტით გაზრდა.

5.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.ხელშეკრულების პირობების შესრულება

6.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა,მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება

პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადასული დღისათვის.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10(ათი) დღის ვადაში.

6.3.მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში,ან თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.4.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ანგარიშსწორება

7.1.ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში

7.2. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და ფინანსური დოკუმენტაციის (საგადასახადი ა/ფაქტურა,(სასაქონლო ზედნადები), წერილობითი მოთხოვნა ანგარიშწორებისათვის) წარდგენიდან, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის ,,დაუძლეველი ძალა,, ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას,რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით,სტიქიური მოვლენით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1.მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016** წლის 02 თებერვლის ჩათვლით.

11.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

11.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შ.პ.ს. ,,კასპის კეთილმოწყობა''

მისამართი: ქ.კასპი.მერაბ კოსტავას ქ. 4

ელ.ფოსტა:ketilmowkoba@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232556659

ა/ ა:GE56LB0113162500148000

ს.ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბ/კ LBRTGE22

შ.პ.ს. ,,კასპის კეთილმოწყობა'' - ის

დირექტორი:

გიორგი ხარატიშვილი.....

,,მომწოდებელი“

შ.პ.ს,,EL- GROUP''

საბურთალოს რ–ნი სოფ დიღომი,ხატაეთის N42

zaalis@mail.ru

401957021

GE38BG0000000895042600

საქართველოს ბანკი BAGAGE22

შ.პ.ს,,EL- GROUP''

დირექტორი:

ზ.სებისკვერაძე.....